

**პროგრამის განაცხადის ფორმა**

**პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:**

ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება

**პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** 07 02

**პროგრამის დასახელება:**

ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

**პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

**პროგრამის განხორციელების პერიოდი:** 2019-2022 წლები

**პროგრამის მიზანი:**

ქალაქის ეკონომიკური განვითარება, ბიზნესის ხელშეწყობა

**პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა;
- მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება;
- საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნის ხელშეწყობა;
- ფორუმების ორგანიზება;
- ძველი ბათუმის ეზოების განვითარების მხარდაჭერა

**პროგრამის ბიუჯეტი**

| დასახელება                       | სულ            | 2019 წელი     | 2020 წელი     | 2021 წელი      | 2022 წელი      |
|----------------------------------|----------------|---------------|---------------|----------------|----------------|
| ეკონომიკური ფორუმების ორგანიზება | 330 000        | 50 000        | 80 000        | 100 000        | 100 000        |
| <b>სულ პროგრამა</b>              | <b>330 000</b> | <b>50 000</b> | <b>80 000</b> | <b>100 000</b> | <b>100 000</b> |

**საბოლოო მოსალოდნელი შედეგი**

გაზრდილია ბიზნეს და სამეწარმეო აქტივობა

**დამატებითი ინფორმაცია**

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

| მოსალოდნელი შედეგი                      | შედეგის ინდიკატორები  |           |           |           |           | გაზომვის ერთეული | მონაცემთა წყარო | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური) | მოგროვების მეთოდი                |             |
|---|---|-----------|-----------|-----------|-----------|------------------|-----------------|---|----------------------------------|-------------|
|   | 2018 წელი   | 2019 წელი | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი |                  |                 |   |                                  |             |
| გაზრდილია ბიზნეს და სამეწარმეო აქტივობა | ინდუსტრიული/საწარმო ბიზნეს ინკუბატორში განთავსებული ბიზნეს სუბიექტების (მათ შორის სტარტაპების) რაოდენობა; |           | N/A       | 2         | 2         | 2                | რაოდენობა       | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია                  | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია | მონიტორინგი |
|   | ბიზნეს ინკუბატორის ბიზნეს სუბიექტები  |           | 5         | 5         | 5         | 5                | რაოდენობა       | ა(ა)იპ "ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი"                | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია | ანგარიშები  |
|   | დამატებით შექმნილი სამუშაო ადგილები   |           | 50        | 50        | 20        | 50               | რაოდენობა       | ა(ა)იპ "ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი"                | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია | ანგარიშები  |

**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**

ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

**ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** 07 02 04

**ქვეპროგრამის დასახელება:**

ეკონომიკური ფორუმების ორგანიზება

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური

**ქვეპროგრამის ბიუჯეტი:**

|                        |               |
|------------------------|---------------|
| დასახელება             | 2019 წელი     |
| მუნიციპალური ბიუჯეტი   | 50 000        |
| სხვა წყარო             | 0             |
| <b>სულ ქვეპროგრამა</b> | <b>50 000</b> |

**ქვეპროგრამის მიზანი:**

ბიზნესთან ინტერაქტიული კომუნიკაციის დამყარება, ქალაქებს შორის რეგიონული თანამშრომლობის ინიცირება

**ქვეპროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის მიზანია შეიქმნას პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით ადგილობრივი განვითარების საკითხებზე, კერძოდ: მდგრად განვითარების ქვეშ გაერთიანებულ ურბანულ საკითხებზე, ბიზნესის განვითარებისა და საინვესტიციო შესაძლებლობებზე შეხედულებების, მოსაზრებების, წინადადებების, პროექტების და საუკეთესო გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გზების დასახვას, ერთობლივი პროექტების დაგეგმვას და განხორციელებას.

პროექტის ფარგლებში დაარსდება ბათუმის მდგრადი ურბანული განვითარების ფორუმი, როგორც ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც აქცენტს გააკეთებს მდგრადი განვითარების სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებულ საკითხებზე, როგორცაა სტრატეგიული და ურბანული დაგეგმარება, სატრანსპორტო სისტემების განვითარება, სასმელი წყლისა და ჩამდინარე წყლების მართვა, კატასტროფების რისკების შემცირება, კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაპტაცია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, განათლება და შესაძლებლობების გაძლიერება. ფორუმი არსებულ გამოწვევებზე, გადაჭრის გზებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე მსჯელობის მიზნით გაერთიანებს ხელისუფლების, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, პარტნიორ ქალაქებსა და ორგანიზაციებს.

ბათუმის ადგილობრივი განვითარების ფორუმები იქნება:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ინიციატივა უზრუნველყოს სივრცე მულტიდისციპლინარული დიალოგისათვის მდგრად ურბანულ განვითარებასთან, ბიზნეს და საინვესტიციო შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
- ინტერაქტიული პლატფორმა, რომელიც თავს მოუყრის შესაბამისი დარგების ექსპერტებსა და სპეციალისტებს საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორიდან. ხელს შეუწყობს სინერგიული კავშირების იდენტიფიცირებასა და თანამშრომლობის ინიცირებას;
- შეხვედრის ადგილი გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებიდან, პარტნიორი ქალაქებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გამოცდილების გაზიარების, პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და წარმატებული პრაქტიკის განსაზღვრისათვის განვითარების არსებული გამოწვევების საპასუხოდ.

| დასახელება                          | პროდუქტები |                |               |
|-------------------------------------|------------|----------------|---------------|
|                                     | რაოდენობა  | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი)    |
| ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმი | 1          | 50 000         | 50 000        |
| <b>სულ ქვეპროგრამა</b>              |            |                | <b>50 000</b> |

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

| დასახელება                          | 1 კვარტალი | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
|-------------------------------------|------------|------------|------------|------------|
| ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმი | X          | X          | X          | X          |

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)**

ორგანიზებული და განხორციელებულია ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმი

**დამატებითი ინფორმაცია**

|  |
|--|
|  |
|--|

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

| მოსალოდნელი შედეგი  | შედეგის ინდიკატორები                                   | სამიზნე მაჩვენებელი               | გაზომვის ერთეული | მონაცემთა წყარო                                    | სიხშირე          | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)             | მეგობრობის მეთოდი |
|---|--|-----------------------------------|------------------|--|------------------|--|-------------------|
| ორგანიზებული და განხორციელებულია ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმი. | ფორუმის ოფიციალურ მონაწილეთა რაოდენობა                 | არანაკლებ 60 ადამიანი             | ადამიანი         | ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური | წელიწადში ერთხელ | ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური | მონიტორინგი       |
|   | ფორუმში მონაწილე შესაბამისი დარგის ექსპერტთა რაოდენობა | არანაკლებ 5 საერთაშორისო ექსპერტი | ადამიანი         | ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური | წელიწადში ერთხელ | ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური | მონიტორინგი       |
|   | პარტნიორი ორგანიზაციების თანამონაწილეობა               | მინიმალური თანაფარდობა 10/90-ზე   | რაოდენობა        | ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური | წელიწადში ერთხელ | ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური | მონიტორინგი       |